ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 15

29 იანვარი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1563.1906 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-თ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.029)

№	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, ბინის ნომერი	ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ალექსანდრე კახიშვილი	01023012102	სართული 1	84.11	01.12.07.003.029.01.507
2	ზურაბ ჯაბახიძე	01015004338	სართული 1	30.81	01.12.07.003.029.01.500
3	ლია ჯაფოშვილი	01019047817	სართული 2	41.1	01.12.07.003.029.01.506